





<p style="text-align: center;">მემორანდუმი NGO "SAORSA" - სა და სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ</p>	<p style="text-align: center;">Memorandum of Understanding Between NGO "SAORSA" And LEPL – Teaching University – Batumi State Maritime Academy on Mutual Cooperation</p>
<p>ჩვენ ერთის, მხრივ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, (შემდგომში – აკადემია), წარმოდგენილი რექტორის ირაკლი შარაბიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ "საორსა" (შემდგომში – ორგანიზაცია) წარმოდგენილი ორგანიზაციის დამფუძნებლის ლია ფუტკარაძის სახით</p> <p>მისამართი: ბათუმი, ლერმონტოვის 89/91</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შევთანხმდით შემდეგზე:</p>	<p>This MoU is between: LEPL Teaching University – Batumi State Maritime Academy (hereinafter referred to as Academy) – represented by Capt. Irakli Sharabidze, Rector of BSMA and NGO "SAORSA" represented by its Founder Lia Phutkaradze</p> <p>Address: 89/91 M.Lermontovi str., Batumi 6010</p> <p>In accordance with the legislation of Georgia agreed as follows:</p>
<p>მუხლი 1. მემორანდუმის საგანი</p>	<p>Article 1. Subject of the contract</p>
<p>1. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:</p> <p>ა) აკადემია:</p> <p>ა.ა) სარგებლობის მიზნით დაუთმობს ორგანიზაციას აკადემიის სარგებლობაში არსებული ფართს უსასყიდლოდ.</p> <p>ა.ბ) გაუზიარებს ორგანიზაციას თავის გამოცდილებას.</p> <p>ა.გ) გაუზიარებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წინასწარი შეთანხმების საფუძველზე</p> <p>ბ) ორგანიზაცია:</p> <p>ბ.ა) უზრუნველყოფს თანამშრომლობას აკადემიის ადამიანისტრაციული და აკადემიური პერსონალის გადამზადებისა და დატრენინგების საკითხებში, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე;</p> <p>ბ.ბ) აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტების თარგმნის ხელშეწყობა, აკადემიური დოკუმენტების გადახედვა და კომენტარების საფუძველზე თარგმნის სრულყოფა, ვერბალური კომუნიკაციის უზრუნველყოფა ინგლისურ ენაზე.</p> <p>ბ.გ) აკადემიის ადმინისტრაციული</p>	<p>I. The parties based on this MoU agreed on follows:</p> <p>a) Academy:</p> <p>a.a) takes a responsibility to provide the organization a space owned by the Academy for usage purposes without any due payment;</p> <p>a.b) takes responsibility to share the experience with the organization;</p> <p>a.c) Takes responsibility to share with organization technical resources on basis of preliminary agreement.</p> <p>B) Organization:</p> <p>b.a) takes a responsibility to cooperate in training of administrative and academic stuff of the Academy, on basis of agreement.</p> <p>b.b) Will cooperate in translation of official documentation related to Academy's activity, make review of the academic documents before published; facilitate the effective verbal communication in English language;</p> <p>b.c) providing training services in cooperate management and management;</p> <p>b.d) organization cooperates with the Academy to organize consultancies and</p>

<p>პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება ორგანიზაციული მართვისა და მენეჯმენტის უნარების გაძლიერების მიმართულებით;</p> <p>ბ.დ) გაცვლითი პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების უზრუნველყოფა და კონსულტაციების გაწევა;</p> <p>ბ.ე) "ორგანიზაციის" პროექტებში აკადემიის სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა;</p> <p>ბ.ვ) ცნობიერების ამაღლების კამპანიებში სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ჩართულობა სურვილისამებრ და საჭიროებისამებრ;</p> <p>ბ.ზ) ბიზნეს კონსულტაციების გაწევა;</p> <p>ბ.თ) ფსიქოლოგის კონსულტაცია სტუდენტებისათვის;</p> <p>ბ.ი) ადამიანის უფლებების მიმართულების ტრენინგების ჩატარება;</p> <p>ბ.კ) აკადემიის ცნობადობის ამაღლების აქტიური მხარდაჭერა.</p> <p>2. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმში მიზნად ისახავს მხარეთა ზოგადი კომპეტენციის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის განხორციელებას, ის არ გულისხმობს მხარეებზე ვალდებულების დაკისრებას. არც ერთი მხარე არ და ვერ დააკისრებს ფინანსურ ვალდებულებას აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში შემდგომი წერილობითი შეთანხმების გარეშე, კონკრეტული ფინანსური ან სხვა ვალდებულებების მისაღებად.</p> <p>3. ყველა სხვა სახის მომსახურება თანხმდება მხარეებს შორის დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე.</p>	<p>meetings on international educational programs and scholarships;</p> <p>b.e) involves Academies students in projects of the Organization;</p> <p>b.f) in case of necessity and on preliminary agreement organization Organization involves Academys' students and academic staff in PR activities;</p> <p>b.g) Organization provides consultations in business;</p> <p>b.h) Organization provides psychological consultations for students of the Academy;</p> <p>b.i) Organization provides trainings on Human Rights;</p> <p>b.j) Organization insures Academy to take part in activities for the promotion and PR of the academy.</p> <p>2. This MoU is intended only to set forth the general understanding of the Parties with respect to the subject matter herein and does not, and is not intended to, contractually bind the Parties. Neither Party will incur any obligations to the other Party, financial or otherwise, upon execution of this agreement. Neither Party will incur any obligations to the other Party in the absence of a subsequent written agreement to accept specific financial or other obligations.</p> <p>3. All other types of services will be agreed between the parties under the Additional contract.</p>
<p>მუხლი 2. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა / შეწყვეტა</p>	<p>Article 2. Amending and termination of the MoU</p>

<p>1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე მემორანდუმში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.</p> <p>2. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.</p> <p>3. მემორანდუმი აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.</p>	<p>1. Any amendment to this MoU shall be made in writing with the signature of the authorized representatives of both parties.</p> <p>2. Each party may terminate this MoU if the other party fails to provide the proper fulfilment of its obligations, or in other cases stipulated by applicable laws.</p> <p>3. The agreement also may be terminated by written agreement between the parties.</p>
<p>მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა</p>	<p>Article 3. A period of the MoU</p>
<p>1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე;</p>	<p>The present MoU shall come into force on the date of its signing by the parties and shall be valid till 31st of December, 2020.</p>
<p>მუხლი 4. სხვა პირობები</p>	<p>Article 4. Other Conditions</p>
<p>მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე პირად, ქართულ და ინგლისურ ენაზე, აქედან ერთი პირი გადაეცემა „აკადემიას“, ხოლო ერთი – „ორგანიზაცია“.</p>	<p>This MoU is made in the Georgian and English languages and is signed in 2 copies, one copy is transferred to the "Academy", one – to the "organization".</p>
<p>ხელმოწერები</p> <p>თარიღი: 03.10.2018 ადგილი: ქ.ბათუმი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია</p>  <p>ირაკლი შარაბიძე რექტორი</p> <p>თარიღი: 03.10.2018</p> <p>NGO "SAORSA"</p>  <p>ლია ფუტყარაძე დამფუძნებელი</p>	<p>Signatures</p> <p>Date: 03.10. 2018 Place: Batumi Batumi State Maritime Academy</p>  <p>Irakli Sharabidze Rector</p> <p>Date: 03.10. 2018</p> <p>NGO "SAORSA"</p>  <p>NGO "SAORSA" Founder Lia Phutkaradze</p>